



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N7

ქ. მარნეული

20.04.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: -

ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, , გივი ქველაძე, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ გოგოჭური, გიორგი შუკაკიძე, ქამილ ალიევი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
2. შ.პ.ს. „სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 მარტის N03/3394 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილის განხილვის შესახებ.
5. ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანების პრეზიდენტის 2017 წლის 5 აპრილის N13 წერილის განხილვის შესახებ

6. ი/მ „გულჩინა ამოვეა“-ს და შ.პ.ს. „ბოდოგი“-ს ერთობლივი განცხადების განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 3 აპრილის N1489-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს დაუსვა შეკითხვა თუ რატომ არ ხდება „სოკარ გაზი“-ს მიერ მუნიციპალიტეტისათვის საჩუქრად გადმოცემული ტრაქტორების დანიშნულებისამებრ გამოყენება, რატომაა რომ ასე გაჭიანურდა ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი დროა გასული და დამთავრებულია როგორც გასული წლის მოსავლის აღების, ასევე მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების პერიოდი, ტრაქტორები დღემდე უმოქმედოდ დგას, ეს მაშინ როდესაც რაიონი მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზეა ორიენტირებული და აქაური მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი სახის დახმარების აღმოჩენა. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა განმარტა, რომ ამ საკითხზე მუნიციპალიტეტისათვის არცერთ მოქალაქეს არ მოუმართავს და რომ ტრაქტორები განკუთვნილია მხოლოდ სოციალურად დაუცველთათვის. ბიუროს წევრმა რამიზ გიულმამედოვმა ბიუროს სხდომაზე აღნიშნა, რომ იგი პირადად შეხვდა გამგებელს და სთხოვა ერთი ერთეული ტრაქტორი გამოეყოს ქუთლიარის ტერიტორიული ერთეულისათვის, რაზეც მან უარი მიიღო. მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ ჯერ უნდა ჩაიხედონ ხელშეკრულებაში და გაარკვიონ რა სახით აქვთ ტრაქტორის თხოვების ფორმით გაცემის უფლება და შემდეგ მოხდება ამ საკითხის განხილვა.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3849 წერილით შემოსული დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ფინანსური გეგმის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 აპრილის N03/4065 წერილით შემოსული დოკუმენტაცია შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ფინანსური გეგმის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 მარტის N03/3394 წერილი, რომლითაც ზედამხედველობის სამსახური ითხოვს მოხდეს დიფერენცირება მათზე გამოყოფილ 600 ლიტრ საწვავზე და ამ ლიმიტის ფარგლებში 450 ლიტრი გამოიყოს ბენზინის და 150 ლიტრი - დიზელის სახით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862

წერილი, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას ა.ა.ი.პ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია“-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე საწევრო გადასახადის - 5 265ლარის გადასახდელად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანების პრეზიდენტის 2017 წლის 5 აპრილის N13 წერილი, რომლითაც ითხოვენ მარნეულის მუნიციპალიტეტის მკვიდრის მაია ბურნაძის დაფინანსებას 2046 ლარით, 4-7მაისს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ი/მ „გულჩინა ამოევა“-ს და შ.პ.ს. „ბოდოგი“-ს ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვენ სათამაშო აპარატზე კვარტალურად დადგენილი მოსაკრებლის 3000 ლარის შეცვლას და ასევე სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების მოწყობის მოსაკრებლის დადგენას - კვარტალურად 250 ათასი ლარის ოდენობით. ბიუროზე დეტალურად იქნა განხილული თუ რა მოგება შეიძლება მოუტანოს ასეთმა რეგულაციამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. ბიუროს წევრებს აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია გაუკეთა შ.პ.ს. „ბოდოგი“-ს წარმომადგენლებმაც, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა, რომ დარეგისტრირება და ლიცენზიის აღება მოხდება სწორედ მარნეულის მუნიციპალიტეტში, რაც დამატებითი შემოსავლის კიდევ ერთი წყარო გახდება, იგივე მოსაზრება დააფიქსირა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმაც, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შმოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 3 აპრილის N1489-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე II-ს ქუჩა N5“-ს შეეცვალა მისამართი და შესაბამისად ამხანაგობის დასახელებაც და ითხოვენ განკარგულებით დამტკიცებული , კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართი დარეგისტრირდეს ახალი მისამართით : ერეკლე II-ქუჩა N2, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეშვიდე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი